



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 89

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
31.10.2023

89-06-4-202310311604



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაზიანში მდებარე 574605 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ №81.10.30.661 სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტით, 108-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 30 ოქტომბრის № 18-182330393 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

მუხლი 1

გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაზიანში მდებარე 574605 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.10.30.661) შემდგომში ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედესაური

საკრებულოს თავმჯდომარე